ბ) ასეთი დანაშაულისათვის მსჯავრდებულის მიერ;

გ) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ,-

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

შენიშვნა: სხვისი სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის უკანონო დამზადებას დიდი ოდენობით ადგილი აქვს, როდესაც მათი საერთო რაოდენობა აღემატება 1000 ცალს, ხოლო მნიშვნელოვანი ზიანის გამომწვევად დანაშაული ჩაღწილად ითვლება, თუ წარმოებული ან სამოქალაქო ბრუნვაში შეტანილი იმ საქონლის ღირებულება, რომელიც სხვისი სასაქონლო (მომსახურების) ნიშნით, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებით, გეოგრაფიული აღნიშვნით ან რეგისტრირებული საფირმო სახელწოდებით უკანონოდ არის ნიშანდებული (მარკირებული), აღემატება 5000 ლარს.

106EE # 197 - XAE OE XEAYEA

1. ფალსიფიკაცია, ესე იგი მოგყუებით ნივთის თვისობრიობის შეცვლა მწარმოებლის ან გამსაღებლის მიერ, ჩაღწილი ანგარებით,-

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

2. იგივე ქმედება, ჩაღწილი არაერთგმის,-

ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რასაც შეეძლო საფრთხე შეექმნა ადამიანის

სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან შვიდ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

4. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რასაც მოჰყვა აღამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ათ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე.

**106E # 198 - ΑΔΙΕΛΕΓΕ ΟΕΥΙ ΥΔΕ ΕΘΑΕΛΕΟ ΑΓ ΔΑΠΘΕΛΕΙ ΑΕΘΑΕΛΕΟ ΘΑΘΕΘΕ ΘΟΥ ΑΘΥΕΕΘ
ΑΔΙΕΛΕΓΕ, ΟΑΥΙ ΟΑΥΑ ΑΓ ΘΑΑΕ ΕΛΕΥΕΑ**

1. აღამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში პროლუქციის დამზადება, შემოტანა ან რეალიზაცია ანდა ასეთ პროლუქციაზე ეგიკეტის უკანონოდ გამოყენება,-

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

2. იგივე ქმედება, რამაც საფრთხე შეუქმნა აღამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას,-

ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე.

3. იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია აღამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თორმეტ წლამდე.

106E # 199 - ΑΕΙ ΤΑΘΕΕΘ ΘΕΑΥΙ ΥΙ Α ΘΑΘΑΑΕ Υ ΑΑ

ეკომარკით უკანონოდ სარგებლობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია,-

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე.

**106E # 200 - ΤΑΘΕΘΑΑΘ ΑΘΑΑΥΑΑΑΘΑΘΕ Ε ΑΘΥΕΘΘΕ ΘΑΥΙ ΥΕ ΕΘ ΑΘΥΕΘΘΕ ΤΑΘΕΘΘ ΑΑΘΑΘΑ
ΑΑΥΙ ΟΑΑΑΑ, ΟΑΥΑΘΑΑ, ΘΑΑΕ ΕΛΕΥΕΑ ΑΓ ΑΑΑΑΕΕΑΑΑ**

1. აქციზური მარკის სავალდებულო ღირებულებას დაქვემდებარებული საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია ან გადაზიდვა,-

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩაღვნილი:

ა) არაერთგმის;

ბ) დიდი ოდენობით;

გ) პირთა ჯგუფის მიერ,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ექვს წლამდე.

3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩაღვნილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან რვა წლამდე.

4. ამ მუხლის პირველი, მე-2 ან მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩაღვნილი:

ა) ორგანიზებული ჯგუფის მიერ;

ბ) იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევნი ამ თავით გათვალისწინებული ქმედებისათვის,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ათ წლამდე.

შენიშვნა:

1. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ღვება, როდესაც აქციზური მარკის სავალდებულო ღირებულებას დაქვემდებარებული საქონლის ღირებულება აღემატება ორი ათას ლარს.

2. ამ მუხლში დიდ ოდენობად ითვლება აქციზური მარკის სავალდებულო ღირებულებას დაქვემდებარებული საქონლის ღირებულება ხუთი ათასი ლარის ზევით, ხოლო განსაკუთრებით დიდ ოდენობად - ასეთი საქონლის ღირებულება ათი ათასი ლარის ზევით.

106E # 200' - ΥΑΕ ΑΕ ΑΘΥΕΘΘΕ ΤΑΘΕΑΕΘ ΑΔΙΕΛΕΓΕ, ΑΑΘΑΥΑΑ ΑΓ/ΑΑ ΑΑΥΙ ΟΑΥΑΑΑ

1. ყალბი აქციზური მარკების დამზადება, გასაღება ან/და გამოყენება,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩაღვნილი:

ა) არაერთგმის;

ბ) წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ;

გ) დიდი ოდენობით,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ექვს წლამდე.

3. იგივე ქმედება, ჩაღვნილი სახელმწიფო მოხელის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე.
4. იგივე ქმედება, ჩაღვნილი:
 - ა) განსაკუთრებით დიდი ოღენობით;
 - ბ) ორგანიზებული ჯგუფის მიერ;
 - გ) იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი ამ თავით გათვალისწინებული ქმედებისათვის, - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცხრიდან თორმეც წლამდე.

1066 # 200 - ზღვრეობე 106666 111 066 6611 111666 16666 666666, 06666 66 6611 111666 66/66 1666 6666 66666666 66666666

1. პირის მიერ აქციზური მარკების მეორადი გამოყენების მიზნით გასაღება, შეძენა და გამოყენება ან/და სხვა პირისათვის გადაცემა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აქციზური მარკებით ნიშნდება დაქვემდებარებული აქციზური საქონლის იმპორტიორის მიერ აქციზური მარკები საქონელზე დასაგანაღ გადაეცემა იმპორტირებული აქციზური საქონლის მწარმოებელს, - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 6 თვემდე.
2. იგივე ქმედება, ჩაღვნილი:
 - ა) არაერთგმის;
 - ბ) წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ;
 - გ) დიდი ოღენობით, - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.
3. იგივე ქმედება, ჩაღვნილი სახელმწიფო მოხელის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.
4. იგივე ქმედება, ჩაღვნილი:
 - ა) განსაკუთრებით დიდი ოღენობით;
 - ბ) ორგანიზებული ჯგუფის მიერ;
 - გ) იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი ამ თავით გათვალისწინებული ქმედებისათვის, - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე.

1066 # 201 - 0666 0666 666

რეკლამის დამკვეთის, მწარმოებლის ან გამავრცელებლის მიერ მომხმარებლის განზრახ შეცდომაში შეყვანა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, - ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

1066 # 202 - 66 106666 66 066666 066666 6666 066666 66 66 066666 6666 66 666666 666

1. კომერციული ან საბანკო საიღუმლოების შემცველი ინფორმაციის უკანონოდ შეგროვება მისი უკანონოდ გახმაურების ან უკანონოდ გამოყენების მიზნით, - ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.
2. კომერციული ან საბანკო საიღუმლოების შემცველი ინფორმაციის უკანონოდ გახმაურება ან გამოყენება ანგარებით ან სხვა პირადი მოგვიით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, - ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე ან უამისოდ.

1066 # 203 - 666 66666 66 66666 666 66666666 6666 66 106666 666666 6666 66 666666 666666

1. პროფესიული სპორტული შეჯიბრების მონაწილის, მსაჯის, მწვრთნელის, გუნდის ხელმძღვანელის ან ორგანიზაციის, ანდა კომერციულ-სანახაობითი კონკურსის ორგანიზატორის ან ჟიურის წევრის მოსყიდვა შეჯიბრების ან კონკურსის შედეგზე ზეგავლენის მიზნით, - ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.
2. იგივე ქმედება, ჩაღვნილი არაერთგმის, - ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.
3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩაღვნილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ, - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ექვს წლამდე.

4. პროფესიული სპორტული შეჯიბრების მონაწილის მიერ უკანონოდ ფულის, ფასიანი ქაღალდის ან სხვა ქონების მიღება ანდა ქონებრივი მომსახურებით სარგებლობა შეჯიბრების ან კონკურსის შედეგზე ზეგავლენის მიზნით, - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

5. პროფესიული სპორტული შეჯიბრების მსაჯის, მწვრთნელის, გუნდის ხელმძღვანელის ან ორგანიზაციის, ანდა კომერციულ-საზოგადოებრივი კონკურსის ორგანიზატორის ან ქიურის წევრის მიერ უკანონოდ ფულის, ფასიანი ქაღალდის ან სხვა ქონების მიღება ანდა ქონებრივი მომსახურებით სარგებლობა შეჯიბრების ან კონკურსის შედეგზე ზეგავლენის მიზნით, -

ისჯება ჯარიმით, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

შენიშვნა: სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლება ის, ვინც ნებაყოფლობით განუცხადებს ხელისუფლების ორგანოს, რომ ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებულ რომელიმე პირს გადასცა ფული, ფასიანი ქაღალდი ან სხვა ქონება ანდა გაუწია მას ქონებრივი მომსახურება.

106.000.001 - ბანკის ობიექტების მართვა

მუხლი ა მ თ ლ ე ბ უ ლ ი ა.

106.000.002 - ბანკის ობიექტების მართვა

გადახდისუუნარობისას ქონების იმ ნაწილის განკარგვა ან დამალვა კრედიტორისათვის ხელმიუწვდომლობის მიზნით, რომელიც გაკოტრების საქმის წარმოების განხრის შემთხვევაში მოექცეოდა სამეურვეო ქონებაში, აგრეთვე მეურნეობის სწორად გაძღვლის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ მისი დაზიანება, გაუვარდისება ან განადგურება, - ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით 3 წლამდე.

106.000.003 - ბანკის ობიექტების მართვა

გადახდისუუნარობისას საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევა, რამაც რეალური ქონებრივი მდგომარეობის შეფასება გაართულა, - ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით 2 წლამდე.

106.000.004 - ბანკის ობიექტების მართვა

გადახდისუუნარობისას ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირის ან ლიკვიდატორის მიერ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების განხრის შესახებ განცხადების შეუტანლობა, - ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

107.000.001 - ბანკის ობიექტების მართვა

107.000.002 - ბანკის ობიექტების მართვა

1. ბანკისათვის ან სხვა კრედიტორისათვის სამეურვეო ან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ყალბი ცნობის მიწოდება კრედიტის მიღების ან მისი ოდენობის გაზრდის ანდა შეღავათიანი კრედიტის მიღების მიზნით, აგრეთვე მიზნობრივი კრედიტის არაღანიშნულებისამებრ გამოყენება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია,- ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.
2. სახელმწიფო მიზნობრივი კრედიტის უკანონოდ მიღება ან მისი არაღანიშნულებისამებრ გამოყენება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია,- ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე.

107.000.003 - ბანკის ობიექტების მართვა

მუხლი ა მ თ ლ ე ბ უ ლ ი ა.

107.000.004 - ბანკის ობიექტების მართვა

1. ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის, სხვა საგადასახადო დოკუმენტის ან ქონებრივი

უფლებამოსილების დამადასტურებელი ისეთი დოკუმენტის დამზადება გასაღების მიზნით, გასაღება ან გამოყენება, რომელიც არ არის ფასიანი ქალაქი,-

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩაღვნილი:

- ა) ჯგუფურად;
- ბ) არაერთგზის,-

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე.

106E # 211 - ობიექტის ან ობიექტის მფლობელის მიერ ობიექტის ან ობიექტის მფლობელის მიერ

ჩეკის ან საკრედიტო ბარათის ბოროტად გამოყენება, რამაც გამზადებული მნიშვნელოვნად დაზიანება,-
ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

106E # 212 - ობიექტის ან ობიექტის მფლობელის მიერ ობიექტის ან ობიექტის მფლობელის მიერ

1. ყალბი საბანკო ბილეთის, ლითონის მონეტის, ფასიანი ქალაქის ან ვალუტის დამზადება, შექმნა, შენახვა გასაღების მიზნით ან გასაღება,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე.;

2. იგივე ქმედება, ჩაღვნილი:

- ა) დიდი ოდენობით;
- ბ) ასეთი დანაშაულისათვის მსჯავრდებულის მიერ,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ათ წლამდე.

3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩაღვნილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ,-
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტი წლამდე.

4. ყალბი საბანკო ბილეთის, ლითონის მონეტის, ფასიანი ქალაქის ან ვალუტის დასამზადებელი ნებისმიერი სახის საბეჭდი ფორმის, მაგრიცის, ქალაქის, საღებავის და სხვა საგნის ან ნივთიერების უკანონოდ დამზადება, შექმნა, შენახვა ან გადამღევა გასაღების მიზნით ან გასაღება,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

შენიშვნა: ამ მუხლით დიდ ოდენობად ითვლება ყალბი საბანკო ბილეთი, ლითონის მონეტა, ფასიანი ქალაქი ან ვალუტა, რომლის რაოდენობრივი მაჩვენებელი აღემატება ათი ათასს ლარს.

106E # 213 - ობიექტის ან ობიექტის მფლობელის მიერ ობიექტის ან ობიექტის მფლობელის მიერ

1. განზრახ სათანადო ნებართვის მიუღებლად ფასიანი ქალაქის საჯარო შეთავაზება ემისიის პროსპექტის გარეშე ან შეჩერებული ემისიის პროსპექტით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია,-

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.

2. ემისიის პროსპექტში არსებითი ფაქტის ან მოვლენის განზრახ გამოტოვება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია,-

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.

106E # 28 - ობიექტის ან ობიექტის მფლობელის მიერ ობიექტის ან ობიექტის მფლობელის მიერ

106E # 214 - ობიექტის ან ობიექტის მფლობელის მიერ ობიექტის ან ობიექტის მფლობელის მიერ

1. საქართველოს საბაჟო საზღვარზე დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის გადატანა ან გადმოტანა, ჩაღვნილი საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად, დოკუმენტის ან საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების მოგყუებით გამოყენებით, დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანით,-

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩაღვნილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით,-

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან შვიდ წლამდე.

3. საქართველოს საბაჟო საზღვარზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ან საქართველოს კანონმდებლობით დაცვნილი წესით აღრიცხული სხვა კულტურული მემკვიდრეობის, ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული საიუველირო ნაკეთობის ან ნაკეთობის ჯარით წესის დარღვევით გადატანა ან გადმოტანა, -

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე.

4. საქართველოს საბაჟო საზღვარზე მხამიანი, მომწამლავი, რადიოაქტიური ან ფეთქებადი ნივთიერების,

შეიარაღების, ასაფეთქებელი მოწყობილობის, ცეცხლსასროლი იარაღის, იმ მასალის ან მოწყობილობის, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მასობრივი განადგურების იარაღის შესაქმნელად, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ნედლეულის წესის დარღვევით გადატანა ან გადმოტანა,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე.

5. ამ მუხლის პირველი, მე-2 ან მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩაღვნილი:

- ა) არაერთგმის;
 - ბ) მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;
 - გ) საბაჟო კონტროლის განმზავრების მიმართ ძალადობით,-
- ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თერთმეც წლამდე.

6. ამ მუხლის პირველი, მე-2, მე-3 ან მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩაღვნილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თერთმეციდან თხუთმეც წლამდე.

შენიშვნა: 1. ამ მუხლით დიდ ოდენობად ითვლება ნივთი, რომლის საბაჟო ღირებულების თანხა აჭარბებს თხუთმეცი ათას ლარს, ხოლო განსაკუთრებით დიდ ოდენობად ითვლება ნივთი, რომლის საბაჟო ღირებულების თანხა აჭარბებს ოცდახუთი ათას ლარს.

2. პუნქტი ა მ თ ლ ე ბ უ ლ ი ა .

106ე # 215 - ობიექტების განთავსების წესების დარღვევა

საზღვარგარეთ გაგანილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი კულტურის ძეგლის ან ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტის დადგენილ ვადაში საქართველოში დაუბრუნებლობა,-

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.

106ე # 216 - ობიექტის დანაშაულის დასაჯება

1. საქართველოს ტერიტორიაზე მომოქცევაში არსებული ეროვნული ვალუტის გამოყენების წესის დარღვევა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია,-

ისჯება ჯარიმით, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩაღვნილი:

- ა) ჯგუფურად;
- ბ) ასეთი დანაშაულისათვის მსჯავრდებულის მიერ,-

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

106ე # 217 - ობიექტების დანაშაულის დასაჯება

საზღვარგარეთიდან უცხოურ ვალუტაში თანხის დაუბრუნებლობა, თუ საქართველოს კანონმდებლობით სავალდებულოა მისი გადმორიცხვა საქართველოს უფლებამოსილი ბანკის ანგარიშზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია,-

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

106ე # 218 - საგანმანათლებლო დაწესებულების დანაშაულის დასაჯება

1. დიდი ოდენობით გადასახადისათვის განზრახ თავის არიდება,-

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩაღვნილი:

- ა) არაერთგმის;
- ბ) განსაკუთრებით დიდი ოდენობით, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე.

შენიშვნა:

1. ამ მუხლში დიდ ოდენობად ითვლება, როდესაც გადასახდელი გადასახადის თანხა აღემატება ოცდახუთი ათას ლარს, ხოლო განსაკუთრებით დიდ ოდენობად - როდესაც თანხა აღემატება სამოცდათხუთმეც ათას ლარს.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, თუ საგანმანათლებლო დაწესებულების შემოწმების შედეგებზე საგანმანათლებლო მოთხოვნის ან საბაჟო შეტყობინების მიღებიდან 45 სამუშაო დღის ვადაში გადახდილი, გადავადებული ან კორექტირებული იქნება გადასახდელად დაკისრებული ძირითადი თანხა.

106ე # 219 - საგანმანათლებლო დაწესებულების დანაშაულის დასაჯება

1. მომხმარებლის მოტყუება ზომიანად, წონაში ან ანგარიშში, ანდა მისთვის მცდარი წარმოდგენის შექმნა საქონლის სამომხმარებლო თვისების ან ხარისხის შესახებ, აგრეთვე მისი სხვაგვარი მოტყუება მომსახურებისას, რამაც მომხმარებელი მნიშვნელოვნად დააზიანა,-

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთიდან ორ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩაღვნილი:

ა) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;

ბ) დიდი ოდენობით;

გ) ასეთი დანაშაულისათვის მსჯავრდებულის მიერ,-

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

შენიშვნა: ამ მუხლში დიდ ოდენობად ითვლება მოტყუებით მიყენებული ზიანის ოდენობა, რომელიც აღემატება მომხმარებლის მიერ გადასახდელი ღირებულების 20 პროცენტს.

106E # 219' - EYATEEEO AAOOA EATAOY O DOI AOTYEE E AAOY AA AT/AA AAAAEEAA

მუხლი ა მ ო ლ ე ბ უ ლ ი ა .

EAAE # 29 - AATAOAE E OATBAOTAY AT OAAA Y OAAEEAYEAOE OATOAODOE ETOAOAOEO BEATAUTAAA

106E # 220 - OXE AAYY OEE AAE OY OY OAA AAY UATAAA

სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების გამოყენება ამ ორგანიზაციის კანონიერი ინგერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია,-

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

106E # 221 - EY TAOYEOE E TY OUEAAA

1. პირისათვის, რომელიც სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში ახორციელებს ხელმძღვანელობით, წარმომადგენლობით ან სხვა სპეციალურ უფლებამოსილებას, ან რომელიც მუშაობს ამ ორგანიზაციაში, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების ან ქონებრივი მომსახურების ან/და სხვა რაიმე არამართლმომიერი უპირატესობის შეთავაზება, დაპირება, გადაცემა ან გაწვევა, რათა მან განახორციელოს რაიმე ქმედება ან თავი შეიკავოს რაიმე ქმედების განხორციელებისაგან, თავისი სამსახურებრივი ვალდებულებების დარღვევით, მომსყიდველის ან სხვა პირის ინგერესებისათვის, -

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

2. იგივე ქმედება, ჩაღვნილი:

ა) ჯგუფურად;

ბ) არაერთგმის, -

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ოთხ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

3. იმ პირის მიერ, რომელიც სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში ახორციელებს ხელმძღვანელობით, წარმომადგენლობით ან სხვა სპეციალურ უფლებამოსილებას, ან რომელიც მუშაობს ამ ორგანიზაციაში, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების ან ქონებრივი მომსახურების ან/და სხვა რაიმე არამართლმომიერი უპირატესობის შეთავაზების, დაპირების, გადაცემის ან გაწვევის მოთხოვნა ან მიღება, რათა მან განახორციელოს რაიმე ქმედება ან თავი შეიკავოს რაიმე ქმედების განხორციელებისაგან, თავისი სამსახურებრივი ვალდებულებების დარღვევით, მომსყიდველის ან სხვა პირის ინგერესებისათვის, -

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩაღვნილი:

ა) ჯგუფურად;

ბ) არაერთგმის;

გ) გამოძალვით, -

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ექვს წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

შენიშვნა:

1. ის, ვინც ჩაიდენს ამ მუხლის პირველი ამ მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას, თავისუფლება

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ მას გამოსძალავს ქონება, ან თუ მან ნებაყოფლობით განუცხადა ხელისუფლების ორგანოს ამის შესახებ.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით და ჯარიმით.

წესი # 9 - ზარალი ან მისი დაზარალება ობიექტის ან საკუთრების უფლების

წესი # 30 - ზარალი ან მისი დაზარალება ობიექტის ან საკუთრების უფლების

წესი # 222 - ობიექტის ან საკუთრების უფლების დაზარალება ობიექტის ან საკუთრების უფლების

1. გელერადიომუწვებლობის ან კავშირგაბმულობის დაზარალებების ანდა სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდება ან ბლოკირება, რამაც შეაფერხა ან შეეძლო შეეფერხებინა ამ დაზარალებების ან ობიექტის ნორმალური მუშაობა,-

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩაღნილი:

ა) ჯგუფურად;

ბ) არაერთგმის,-

ისჯება გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.

წესი # 222' - ობიექტის ან საკუთრების უფლების დაზარალება ობიექტის ან საკუთრების უფლების

1. საგრანსპორტო კომუნიკაციების ბლოკირების ორგანიზება დაზარალებების, საგუშაგოების მოწყობის გზით ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ხერხით, რამაც შეაფერხა ან შეეძლო გამოეწვია რკინიგზის, საჰაერო, წყლისა და მაგისტრალური მილსადენი გრანსპორტის ნორმალური მუშაობის შეფერხება,-

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

2. იგივე ქმედება:

ა) ჩაღნილი არაერთგმის;

ბ) რამაც საფრთხე შეუქმნა ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას;

გ) რასაც თან სდევს გვირთის, ბარგის ან დოკუმენტების უკანონო გასინჯვა და შემოწმება,-

ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით ხუთ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

3. ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებული ქმედება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია ან რასაც მოჰყვა ჯანმრთელობის მძიმე დაზარალება ან ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთიდან რვა წლამდე.

წესი # 223 - ობიექტის ან საკუთრების უფლების დაზარალება ობიექტის ან საკუთრების უფლების

1. უკანონო შეიარაღებული ფორმირების (ლაშქრის, გაერთიანების, რაზმის ან სხვა ჯგუფის) შექმნა ან ხელმძღვანელობა,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე.

2. უკანონო შეიარაღებულ ფორმირებაში მონაწილეობა,-

ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით ხუთ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

შენიშვნა: ის, ვინც ნებაყოფლობით შეწყვიტა უკანონო შეიარაღებულ ფორმირებაში საქმიანობა და ჩააბარა იარაღი, თავისუფლება სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დაზარალებული ნიშნები.

წესი # 223' - ობიექტის ან საკუთრების უფლების დაზარალება ობიექტის ან საკუთრების უფლების

1. ქურდული სამყაროს წევრობა,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე, ჯარიმით ან უამისოდ.

2. კანონიერი ქურდობა,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ათ წლამდე, ჯარიმით ან უამისოდ.

Ἰὸἀἔ ἔ # 224 - ἈΑΓἈἘἘἈἔ

- 1. მყარი შეიარაღებული ჯგუფის (ბანდის) შექმნა ან ხელმძღვანელობა პირზე ან ორგანიზაციაზე თავდასხმის მიზნით,- ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან ოც წლამდე.
- 2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ჯგუფში (ბანდაში) ან მის მიერ მოწყობილ თავდასხმაში მონაწილეობა,- ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თორმეტი წლამდე.

Ἰὸἀἔ ἔ # 224' - ὈἈἘἘἘ ἈἈἈἘἘἈἈἈἘ ἸἸ ἸἈἔἔ ἈἸ ἈἈ

დამოუკიდებლად ან სხვა პირთან (პირებთან) რეკეტული დაჯგუფების საქმიანობის წარმართვა ან სხვაგვარი მონაწილეობა რეკეტული დაჯგუფების საქმიანობაში, აგრეთვე დავების უკანონოდ გადაწყვეტა ან მონაწილეობა დავების უკანონოდ გადაწყვეტაში რეკეტულ დაჯგუფებათა ან რეკეტულ დაჯგუფებასა და სხვა პირს შორის, - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე.

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით და ჯარიმით.

Ἰὸἀἔ ἔ # 225 - ἸἈἸ ἈἘἔἈἔ ἈἘἈἘ Ἰ ἈἈ

- 1. მასობრივი არეულობის ორგანიზება ან ხელმძღვანელობა, რასაც თან ახლავს ძალადობა, რბევა, ცეცხლის წაკიდება, იარაღის ან ასაფეთქებელი მოწყობილობის გამოყენება ანდა ხელისუფლების წარმომადგენლისადმი შეიარაღებული წინააღმდეგობა,- ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე.
- 2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში მონაწილეობა,- ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ექვს წლამდე.

Ἰὸἀἔ ἔ # 226 - ἈἈἘἘἈἘ ἸἸ ὀἈἈἈἈἈἘ Ἰ ὈἈἸἈἈἈἈ, ὀἸ ἸἈἔ ἔἈ ἈἘἈἈἈἈ ὀἈἸ ἈἈἸ ἈἈἘἈ ἈἈἘἈἈ, ἈἸ ἸἈἘἔ ἈἈἘἘἈἈ ἸἸ ἸἈἔἔ ἈἸ ἈἈ

ჯგუფური მოქმედების ორგანიზება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს ან დაკავშირებულია ხელისუფლების წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისადმი აშკარა დაუმორჩილებლობასთან ან რამაც გრანსპორტის, საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის მუშაობის შეფერხება გამოიწვია, აგრეთვე ასეთ მოქმედებაში აქტიური მონაწილეობა,- ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

Ἰὸἀἔ ἔ # 227 - ὀἈἈἈἈἸ ἈἸ ἈἸἔ ἔἈ ἈἸ ἸἈἔ Ἀἔ ἈἸἈ ὀἈἸἈἈἈἈ ἸἸ ἮἈἈἔ ὀἈἸἈἈἈἸ Ἰ Ἀἔ ἸἈἘἔ ὀἈἸἈἈἈἈ ἈἈἸ ἈἈἘἘ ἈἈ

- 1. საპაერო ან წყლის ხომალდის ანდა რკინიგზის მოძრავე შემადგენლობის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება,- ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდი წლამდე.
- 2. იგივე ქმედება, ჩაღნილი:
 - ა) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;
 - ბ) არაერთგმის;
 - გ) სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით,- ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ათ წლამდე.
- 3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი,- ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტი წლამდე.

Ἰὸἀἔ ἔ # 227' - ἈἸἔ ἔἈ ἈἸ ἸἈἔ Ἀἔ ἸἈἸ ὀἈἸ ἈἘἈἈἈἈἈ ὀἈἸἈἈἈ ἈἈἘ ὀἈἸἈ

- 1. წყლის ხომალდისათვის განზრახ ცრუ ინფორმაციის გადაცემა, რითაც საშიშროება ექმნება წყლის ხომალდის ნაოსნობას, - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ექვს წლამდე.
- 2. წყლის ხომალდზე მყოფი პირის წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობა ან ძალადობის მუქარა, რომლითაც შეიძლება საფრთხე შეექმნას წყლის ხომალდის ნაოსნობას, - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან რვა წლამდე.

3. საზღვაო-სანავიგაციო დანადგარების დაზიანება ან მათი ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლა, რითაც საშიშროება ექმნება წყლის ხომალდის ნაოსნობას, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან თორმეტი წლამდე.

4. წყლის ხომალდზე ისეთი მოწყობილობის ან ნივთიერების განთავსება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს წყლის ხომალდის ან მისი გვირგვინის განადგურება ან დაზიანება, რაც საშიშროებას უქმნის წყლის ხომალდის უსაფრთხო ნაოსნობას, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თხუთმეტი წლამდე.

5. წყლის ხომალდის ან მისი გვირგვინის განადგურება ან დაზიანება, რამაც შეიძლება საშიშროება შეუქმნას უსაფრთხო ნაოსნობას, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტი წლამდე.

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებებისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით.

106E # 227" - ობიექტის დაზიანება ან განადგურება საშიშროებისათვის ხელის შეშლა, რითაც საშიშროება ექმნება წყლის ხომალდის ნაოსნობას, -

1. სტაციონარული პლატფორმის (ხელოვნური კუნძული, დანადგარი ან ნაგებობა, რომელიც დამაგრებულია ზღვის ფსკერზე რესურსების დაზვერვის ან ათვისების, ან სხვა ეკონომიკური მიზნებისათვის) მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლება ძალალობით ან ძალალობის მუქარით, აგრეთვე სტაციონარულ პლატფორმაზე მყოფი პირის მიმართ განხორციელებული ძალალობა, რომელიც საშიშროებას უქმნის მის უსაფრთხოებას, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ექვსი წლამდე.

2. სტაციონარულ პლატფორმაზე ისეთი მოწყობილობის ან ნივთიერების განთავსება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მისი განადგურება ან დაზიანება, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათი წლამდე.

3. სტაციონარული პლატფორმის განადგურება ან დაზიანება, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თხუთმეტი წლამდე ან უვალო თავისუფლების აღკვეთით.

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებებისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით.

106E # 228 - მკობრობა

1. მკობრობა, ესე იგი წყლის ხომალდზე ან სხვა მკურავ საშუალებაზე თავდასხმა სხვისი ნივთის დასაუფლებლად, მისი მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით, ჩაღვნილი ძალალობით ან ძალალობის მუქარით, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ათი წლამდე.

2. იგივე ქმედება:

ა) არაერთგმის;

ბ) რამაც გამოიწვია ალამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტი წლამდე.

106E # 229 - მკობრობა

1. გაზის, ბენზინის, ნავთის ან სხვა ნივთიერების განზრახ აფეთქება და ამით შეგნებულად სიცოცხლისათვის, ჯანმრთელობისათვის ან ქონებისათვის საფრთხის შექმნა,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდი წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩაღვნილი:

ა) არაერთგმის;

ბ) იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტიჯერ იყო ნასამართლევი ასეთი დანაშაულისთვის;

გ) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ათი წლამდე.

3. იგივე ქმედება:

ა) რამაც გამოიწვია ალამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი;

ბ) ჩაღვნილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტი წლამდე.

106E # 229' - ალამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი

1. ელექტრო - ან თბოენერგიით, გამით, ნავთობით ან ნავთობპროდუქტებით სარგებლობის წესების დარღვევა, რასაც არსებითი ზიანი მოჰყვება, -

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ერთ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩალენილი:

ა) არაერთგმის;

ბ) ისეთი საშუალების გამოყენებით, რამაც საფრთხე შეუქმნა ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია ელექტრო- ან თბოენერჯის,

გამის, ნავთობის ან ნავთობპროდუქტების ობიექტის ავარია ან რასაც მოჰყვა ჯანმრთელობის მძიმე დამიანება ან ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ანდა სხვა მძიმე შედეგი,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

10აე ე # 230 - აედეაოე ე თაოაე ეო აი თი ბუი აეე ი აეო, ოააეაოეოდე თაბათეო, ოააეაოეოდე თეეეაოაეო აი თაეი თაააე ე აათი ოაეააეო ოაა ბუაბი ოაბე ოაბი თი თი ბუბი აა

1. ბირთვული მასალის ან მოწყობილობის, რადიოაქტიური ნარჩენის (გამოყენებული ბირთვული საწვავის ჩათვლით), რადიოაქტიური ნივთიერების ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროს, აგრეთვე ნებისმიერი სახისა და დანიშნულების მოწყობილობის, დანადგარის, ხელსაწყო ან ნაკეთობის, რომელიც შეიცავს რადიოაქტიურ ნივთიერებას, ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროს უკანონო შექმნა, შენახვა, ფლობა ან განკარგვა, გამოყენება, გადამუშავება, გამოცდა, გადაცემა, გაღობილება, ექსპორტი, იმპორტი, ვაჭრობა ან მათდამი სხვა უკანონო მოპყრობა, აგრეთვე მათთან დაკავშირებული სხვა გარიგება,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე.

2. იგივე ქმედება:

ა) არაერთგმის;

ბ) რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თოთხმეტ წლამდე.

10აე ე # 231 - აედეაოე ე თაოაე ეო, ოაბე აბეოეოდე თეეეაოაეო აი თაეი თაააე ე აათი ოაეააეო ოაა ბუაბი ო აბე ოე ოაააააა

1. ბირთვული მასალის, რადიოაქტიური ნივთიერების ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროს ხელში ჩაგდება,- ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩალენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის მუქარით,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თორმეტ წლამდე.

10აე ე # 231' - აედეაოე ე თეეეაოაეო თაოე ე ოაბეაათაათი ააბი ა ააო×ე ააეო 10ბაბა

ძალადობის გამოყენებით ან ძალადობის მუქარით ბირთვული ნივთიერების მოთხოვნა, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან რვა წლამდე.

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით.

10აე ე # 232 - აედეაოე ე ეაბაბეო აი ოაა აედეაოე ე ააო×აბეააააე ე თი ბუი აეე ი აეო აათაეაააა

1. ბირთვული იარაღის ან სხვა ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობის ღამზადება,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ათ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩალენილი:

ა) ჯგუფურად;

ბ) არაერთგმის,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე.

10აე ე # 233 - აედეაოე აი ოააეაბეოეო ი აეაბეა ააბეეო აი ოააბეოე ოაბეაააეო ოაბაააა ეი×ი ობაბეო აა×აბაა აი აათაბეი აააა

1. ბირთვულ ან რადიოაქტიურ ობიექტზე ავარიის ან უბედური შემთხვევის შესახებ ინფორმაციის დაფარვა ან დამახინჯება, რასაც შეეძლო გამოეწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი,-

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე.

2. იგივე ქმედება, რამაც სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თორმეტ წლამდე.

**106E # 238 - YAYAE OAOI E E EAOUEO (IAE OI OEO, AE OAE OE EATE OATAAEOI EI xEO)
AAOAAA OA TAA**

ცეცხლსასროლი იარაღის (მათ შორის, გლუვკულიანი სანადირო თოფის) დაუღვერად შენახვა, რითაც შექმნილი იყო პირობა მისი სხვა პირის მიერ გამოყენებისათვის, რამაც გამოიწვია ალამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი,-

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

**106E # 238' - 21 BEEO AOAE IEOUNBAAE E AI TAOITAOEE Y AEO IOY TA AI/AA TAOEI OEEAAEO
IY AITAOAAEOAE AEO AATEIEOODOAYEOE OAAAE AAAAIOE E DEEO IEAO YEA EAOUEO OAOAAA**

1. 21 წლის ასაკს მიუღწეველი ან ნასამართლობის მქონე ან/და ნარკოტიკების მოხმარებისათვის აღმინისტრაციულსახელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის გარეზა, -

ისჯება ჯარიმით.

2. იგივე ქმედება, ჩაღენილი:

ა) არაერთგზის;

ბ) იმის მიერ, ვინც ნასამართლევი იყო განზრახი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩაღენისათვის, -

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე."

106E # 239 - AOE EATY AA

ხულიგნობა, ესე იგი ქმედება, რომელიც უხეშად არღვევს სამოგაღოებრივ წესრიგს და გამოხატავს სამოგაღოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩაღენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით,-

ისჯება ჯარიმით ან სამოგაღოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციღან ას ოთხმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

2. იგივე ქმედება, ჩაღენილი:

ა) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;

ბ) ხელისუფლების წარმომადგენლის ან ხულიგნობის აღმკვეთი სხვა პირის მიმართ;

გ) ხულიგნობისათვის მსჯავრღებულიის მიერ,-

ისჯება ჯარიმით ან სამოგაღოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოციღან ორას საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთიღან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიღან ხუთ წლამდე.

3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩაღენილი ცეცხლსასროლი იარაღის ან იარაღად სხვა საგნის გამოყენებით,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიღან შვიღ წლამდე.

EAAE # 31 - OAITOAI O BAOIY AAEAO OOA x OE AI AAEO BAOEO AAOUAAAA

106E # 240 - OAITY , OAITATAEY AI OAAA OAITOAI O BAOIY AAEAO OOA x OE AI AAEO BAOEO AAOUAAAA

1. უსაფრთხოების წესის დარღვევა სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე ღაზიანება,-

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, თანამღებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

2. იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია ალამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი,-

ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით ხუთ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიღან ხუთ წლამდე, თანამღებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

**106E # 240' - AE AOIOI - AI EAI AITAOAEO, AAEEO, TAAEY AEO AI TAAEY AOIY AOIOAAEO Y AEAIOAE
OOA x OE AI AAEO BAOAAEO AAOUAAAA**

1. ელექტრო - ან თბოენერგიის, გამის, ნავთობის ან ნავთობპროღექტების ობიექტის განღაგების, დაროეექტების, მშენებლობის ან ექსპლუატაციის დროს უსაფრთხოების წესების დარღვევა, რასაც მოჰყვა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე ღაზიანება ან რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, -

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, თანამღებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

2. იგივე ქმედება, რასაც მოჰყვა ალამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიღან შვიღ წლამდე, თანამღებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რასაც მოჰყვა ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვალთ ექვსიდან ათ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვალთ სამ წლამდე.

106E # 241 - ათი ოთხი ან ოცდაათი წლის ან ოცდაათი წლის ოცდაათი წლის ან ოცდაათი წლის ოცდაათი წლის

1. აგომური ენერჯეტიკის ობიექტის განლაგების, დაპროექტების, მშენებლობის ან ექსპლუატაციის დროს უსაფრთხოების წესის დარღვევა, რასაც გაუფრთხილებლობით შექმნილი გამოეწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან გარემოს რადიოაქტიური დაზიანება,-

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვალთ ხუთ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვალთ ორიდან ოთხ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვალთ სამ წლამდე ან უამისოდ.

2. იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვალთ ოთხიდან რვა წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვალთ სამ წლამდე.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, გარემოს რადიოაქტიური დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვალთ შვიდიდან ცამეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვალთ სამ წლამდე.

106E # 242 - ანთროპოგენური ობიექტის ან ანთროპოგენური ობიექტის ანთროპოგენური ობიექტის ანთროპოგენური

1. აფეთქებასაშემო საწარმოში ან საამქროში საწარმო-გექნიკური უსაფრთხოების წესის დარღვევა, რასაც გაუფრთხილებლობით შექმნილი გამოეწვია მძიმე შედეგი,-

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვალთ ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვალთ ერთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვალთ სამ წლამდე ან უამისოდ.

2. აფეთქებასაშემო საწარმოში ან საამქროში საწარმო-გექნიკური უსაფრთხოების წესის დარღვევა, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი,-

ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვალთ ხუთ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვალთ ოთხიდან ექვს წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვალთ სამ წლამდე.

3. აფეთქებასაშემო საწარმოში ან საამქროში საწარმო-გექნიკური უსაფრთხოების წესის დარღვევა, რამაც გამოიწვია ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვალთ ხუთიდან რვა წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვალთ სამ წლამდე.

106E # 243 - ოცდაათი წლის ოცდაათი წლის ოცდაათი წლის ოცდაათი წლის

1. სახანძრო უსაფრთხოების წესის დარღვევა იმის მიერ, ვისაც ამ წესის დაცვა ევალებოდა, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება,-

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვალთ სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით იმავე ვალთ, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვალთ სამ წლამდე ან უამისოდ.

2. იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი,-

ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვალთ ხუთ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვალთ ოთხიდან ექვს წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვალთ სამ წლამდე ან უამისოდ.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვალთ ხუთიდან რვა წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვალთ სამ წლამდე.

106E # 244 - ანთროპოგენური ობიექტის ან ანთროპოგენური ობიექტის ანთროპოგენური ობიექტის ანთროპოგენური

ფეთქებადი, ავთოლაბილური, მწვავე ნივთიერების ან პიროგექნიკური ნაკეთობის აღრიცხვის, შენახვის, გადაზიდვის ან გამოყენების წესის დარღვევა, აგრეთვე მისი უკანონო გადაზიდვა ფოსტით ან ბარგით, რამაც გამოიწვია მძიმე შედეგი,-

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვალთ სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვალთ ორიდან ხუთ წლამდე.

**თბაქო # 245 - აღმოაჩინდა დაზარალებული, დაზარალებული რეზიდენტი ან
თავის ტარების მქონე პირის დაზარალებული რეზიდენტი ან
საერთაშორისო მოსახლეობის სხვა წევრი დაზარალებული რეზიდენტი**

1. ბირთვული მასალის, რადიოაქტიური ნარჩენის, რადიოაქტიური ნივთიერების ან მაიონიზირებელი გამოსხივების სხვა წყაროს შექმნის, შენახვის, დამარხვის, ფლობის, გამოყენების, გადამუშავების, გამოცდის, გადაცემის, აღრიცხვის, გადაზიდვის, ექსპორტ-იმპორტის ან მისდამი მოპყრობის სხვა წესის დარღვევა, რასაც შეეძლო გამოეწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი,-

- ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.
- 2. იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი,-
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე.
- 3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი:
 - ა) ჯგუფურად;
 - ბ) არაერთგმის,-
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თორმეტ წლამდე.

**ტბაქო # 32 - რადიოაქტიური ნივთიერების ან რადიონუკლიდის ან რადიოაქტიური ნივთიერების ან რადიონუკლიდის დაზარალებული რეზიდენტი ან
საერთაშორისო მოსახლეობის სხვა წევრი დაზარალებული რეზიდენტი**

**თბაქო # 246 - მათთვის ვინც მოსთხოვს ან მოსთხოვს
დაზარალებული რეზიდენტი ან საერთაშორისო მოსახლეობის სხვა წევრი დაზარალებული რეზიდენტი**

1. უკანონო საექიმო ან ფარმაცევტული საქმიანობა, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის დაზიანება,-
ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

2. იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა,-
ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით ხუთ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

თბაქო # 247 - მათთვის ვინც მოსთხოვს ან მოსთხოვს დაზარალებული რეზიდენტი ან საერთაშორისო მოსახლეობის სხვა წევრი დაზარალებული რეზიდენტი

1. იმ გარემოების, ფაქტის ან მოვლენის შესახებ ინფორმაციის დამალვა ან გაყალბება, რომელიც საფრთხეს უქმნის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან გარემოს, ჩადენილი იმის მიერ, ვინც ვალდებული იყო მიეწოდებინა ეს ინფორმაცია მოსახლეობისათვის,-
ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი მოხელის მიერ, ან რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი,-
ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

**თბაქო # 248 - მათთვის ვინც მოსთხოვს ან მოსთხოვს დაზარალებული რეზიდენტი ან
საერთაშორისო მოსახლეობის სხვა წევრი დაზარალებული რეზიდენტი**

1. სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური წესის დარღვევა, რამაც გამოიწვია ადამიანთა მასობრივი დაავადება ან მოწამვლა,-
ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

2. იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა,-
ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით ხუთ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

**თბაქო # 249 - მათთვის ვინც მოსთხოვს ან მოსთხოვს დაზარალებული რეზიდენტი ან
საერთაშორისო მოსახლეობის სხვა წევრი დაზარალებული რეზიდენტი**

1. გასაღების მიზნით შხამის უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა ან გასაღება,-
ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

- ა) ჯგუფურად;
- ბ) არაერთგმის;
- გ) დიდი ოდენობით,-
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ექვს წლამდე.

3. შხამის წარმოების, შექმნის, შენახვის, აღრიცხვის, გაცემის, გადაზიდვის ან გადაგზავნის წესის დარღვევა, რამაც ასეთი ნივთიერების უკანონო ბრუნვა ან სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია,-

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ექვს წლამდე.

106E # 250 - 06A1E0 1A0E0 0ABE1AAS1AAA 1E0AE0E0AAA A1 AA1Y PAE AA

1. შხამის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ან გამოძალვა,-
ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.
2. იგივე ქმედება, ჩალენილი:
 - ა) ჯგუფურად;
 - ბ) დიდი ოდენობით,-
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან რვა წლამდე.
3. იგივე ქმედება, ჩალენილი:
 - ა) არაერთგმის;
 - ბ) სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით,-
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ათ წლამდე.

106E # 251 - 00Ax0Ea1 AAEO 1Y Ea1 A1AAEAT 0A00AAATY , 0aAOEOa1 0A0Y 1E EO AA1Y 0AAAA A1 AAUEAAA A1AA 0aAOEOa1 0A100A1 0 0A000EAAA A1 0aAOEOa1 1Y 10Aa00AAEO AA0AAA

1. უხარისხო საქონლის გამოშვება ან გაყიდვა ანდა უხარისხო სამუშაოს შესრულება ან უხარისხო მომსახურების გაწევა, რაც არ შეესაბამება მომხმარებლის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის უსაფრთხოების მოთხოვნებს, აგრეთვე ისეთი ოფიციალური დოკუმენტის უკანონოდ გაცემა ან გამოყენება, რომელიც ადასტურებს ამ საქონლის, სამუშაოს ან მომსახურების შესაბამისობას უსაფრთხოების მოთხოვნებთან, რამაც გამოიწვია ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება,-
ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.
2. იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ანდა ორი ან მეტი ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება,-
ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.
3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა,-
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე.

106E # 252 - 0EATY 1Y AA00E0A1AAEO 0A0Y1A A1 aAE 1P0AA1AEY AA A1AA 1A00E 1Y 1ABEE AY AA

1. ისეთი რელიგიური, პოლიტიკური ან საზოგადოებრივი გაერთიანების შექმნა, რომლის საქმიანობას თან ერთვის ძალადობა ადამიანის მიმართ, ანდა ასეთი გაერთიანების ხელმძღვანელობა,-
ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.
2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გაერთიანებაში მონაწილეობა,-
ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

106E # 253 - 00Y 00E00YEA0E 0AATY

1. პროსტიტუციაში ჩაბმა ძალადობით, ძალადობის ან ქონების განადგურების მუქარით, შანტაჟით ან მოგყვებით,-
ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.
2. იგივე ქმედება, ჩალენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ ან წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ, -
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან შვიდ წლამდე.

106E # 254 - 00Y 00E00YEE0EAE0 AA0EE EO A1 0AYa1 A0AAE EO AA0AYATY

